ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მაია ყიფიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

1967 წლის ისრაელ-არაბეთის ექვსდღიან ომში ისრაელის გამარჯვების ფაქტორები

ახლო აღმოსავლეთი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა, აქ მიმდინარე მოვლენები დიდად განსაზღვრავდა და გავლენას ახდენდა დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთი თანამედროვე მსოფლიოშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძია, სადაც მუდმივად არსებობდა დაპირისპირება და კონფლიქტები, რომლებიც დღესაც გრძელდება და მათი მოგვარების საკითხი მუდმივად აქტუალურია. თუ გავითვალისწინებთ რეგიონში მომხდარ ბოლოდროინდელ მოვლენებს, რომლებიც დღემდე გრძელდება-ვგულისხმობთ არაბული რევოლუციების ტალღას-არ არის გამორიცხული ეს მოვლენები რეგიონში ახალი მასობრივი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდეს.

მე-20 საუკუნეში რეგიონში ვითარება განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როდესაც პალესტინაზე 1947 წელს დამთავრდა ბრიტანეთის მანდატი და ამავე წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 181, რომლითაც რეკომენდაცია მისცა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას, იერუსალიმს კი ცალკე რაიონად გამოყოფას [2, 442]. ებრაელებმა პალესტინის გაყოფის გეგმა მიიღეს. არაბებმა კი მასზე სასტიკი უარი განაცხადეს. მათ საერთოდ არ უნდოდათ რეგიონში ებრაული სახელმწიფოს ხილვა. [2, 445]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობა მრავალწილად განაპირობა საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. კერძოდ, მოსკოვის ინტერესებში შედიოდა ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც რეგიონში მისი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო [3, 217]. ამით კრემლი გამოდევნიდა არაბული სამყაროდან ინგლისს და ერთგვარ „სოლს არჭობდა" აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებს შორის.

ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მოვლენას არაბები "ნაკბას" უწოდებენ, რაც არაბულად "კატასტროფას" ნიშნავს. ამიტომ, როდესაც 1948 წლის 14 მაისს ებრაულმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეს ფაქტი იმთავითვე გახდა რეგიონში ვითარების ესკალაციისა და ახალი კონფლიქტების მიზეზი. ისრაელის სახელმწიფო წარმოქმნისთანავე არაბული ქვეყნებით იქნა გარშემორტყმული. ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღეს, 15 მაისს ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო არაბული ქვეყნების ლიგამ, რომელშიც შედიოდა ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ტრანსიორდანია და ერაყი. თუმცა ეს ომი ისრაელის სრული გამარჯვებით დასრულდა. ამ ომში ისრაელს საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ტექნიკის და სპეციალისტების მხრივ.

მეორე კონფლიქტი 1956 წლის სუეცის კრიზისი იყო, სადაც ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის მხარეს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იბრძოდნენ. „სინას კამპანიის შემდგომი პერიოდი ისრაელ-ეგვიპტის საზღვარზე შედარებით მშვიდი იყო ძირითადად, გაეროს წარმომადგენლობის გამო, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიმშვიდემ ხანგრძლივი დროით დაისადგურა“ [1, 213]. ისრაელს მიეცა საერთაშორისო გარანტიები იმისა, რომ თავისუფლად გაეტარებინა თავისი გემები ტირანის სრუტეში. მაგრამ ამას ეწინააღმდეგებოდა ეგვიპტე. ის ფაქტობრივად ატარებდა სრუტის ბლოკადას. ამიტომ ისრაელი აცხადებდა, რომ ეგვიპტის ეს მოქმედება შიძლება მომავალში გამხდარიყო სრულმასშტაბიანი ომის საბაბი. ეგვიპტისა და გაერო-ს ხელმძღვანელები სხვადასხვანაირად განიხილავდნენ იქ მყოფ სამხედროთა სტატუსს. კაიროს მიაჩნდა, რომ გაერო-ს შეიარაღებული ძალები მისი მოთხოვნისთანავე უნდა გაეყვანა, ხოლო გაერო-ს გენერალური მდივანი კი თვლიდა, რომ ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა უნდა განეხილა უშიშროების საბჭოს. სარგებლობდა რა ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი მოსკოვის მხარდაჭერით, მან წერილიც კი მისწერა გაერო-ს ჯარების მეთაურს-გენერალ ფავზის, რათა მას ჯარები გაეყვანა. ფავზიმ უპასუხა: „მე ვარ სამხედრო პროვნება და ვიღებ ბრძანებებს არა ეგვიპტედან, არამედ გაეროდან“.

1964 ნელს კაიროში ჩატარებულ არაბული ქვეყნების კონფერენციაზე გადაწყდა, რომ გატარებულიყო იორდანიის წყლების დაქსაქსვის პოლიტიკა, რითაც ისრაელს იორდანიის წყლის ორი მესამედი მოაკლდებოდა. ისრაელმა არაერთხელ განაცხადა, რომ ტირანის სრუტის დახურვა ან იორდანიის წყლებისათვის მიმართულების შეცვლა მათ მიერ საომარ მოქმედებებად აღიქმებოდა. ამიტომ ისრაელ-

მა წყლებისათვის მიმართულების შეცვლის ოპერაციების საპასუხოდ, არტილერიის და ტანკების მეშვეობით ცეცხლი გაუხსნა არხების მშენებლობის სამუშაოებს. ამის შემდგომ კვლავ გრძელდებოდა სირიის მხრიდან ისრაელის შევიწროება, რასაც თან მოყვა ისრაელის საპასუხო რეაქციები [1, 215; 217]. 1966 წლის 4 ნოემბერს სირიამ და ეგვიპტემ დადეს სამხედრო კავშირი.

1967 წლის „ექვსდღიან ომს" ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან შეცვალა მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური ბალანსი და დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე [2, 448]. ფაქტიურად დღემდე ეს რეგიონი ამ ომის შედეგებით მოქმედებს.

1967 წლის აპრილში სირიის მხრიდან სასტიკი შეტევები განხორციელდა ისრაელის სოფლების წინააღმდეგ რასაც ისრაელმა საჰაერო იერიშით უპასუხა. ისრაელმა სირიის კუთვნილი 6 თვითმფრინავი ჩამოაგდო და მკაცრი კომენტარი გააკეთა, რომ ისრაელი არ დატოვებდა არც ერთ შეტევას და პროვოკაციას პასუხგაუცემლად [1, 218].

სიტუაციის გამწვავებას ხელს უწყობდა საბჭოთა დელეგაციის მიერ კაიროში წარმოთქმული სიტყვა, როცა მათ ეგვიპტელებს შეატყობინეს, რომ ისრაელმა სირიის საზღვარზე განალაგა 11 ბრიგადა, და ამის გამო საბჭოთა ელჩმა განაცხადა პროტესტი რაც სინამდვილეში სიცრუე იყო. „საბჭოთა კავშირის რეგიონში თავისი ინტერესები ჰქონდა, მას აინტერესებდა სირიაში არსებული რეჟიმის გაძლიერება, რაც მას ახლო აღმოსავლეთში სერიოზულ დასაყრდენს უქმნიდა. ეგვიპტეზე გავლენის მოხდენით რუსები ზრუნავდნენ ისრაელის სამხრეთიდან განდევნაზე, სირიის უსაფრთხოებასა და დამასკოს მთავრობის გაძლიერებაზე [1, 219].

ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა 17 მაისს მოითხოვა გაეროს ჯარების გაყვანა გარკვეული ტერიტორიიდან. გაეროს გენერალური მდივანი იუ სანთი ორ დღეში დაემორჩილა მოთხოვნას.

22 მაისს ნასერმა ისრაელის გემებისათვის ჩაკეტა წითელ ზღვაში გასასვლელი ტირანის სრუტე. 23-ში დაიწყო ეგვიპტეში მობილიზაცია. ომის დასაწყისისათვის ხმელთაშუა ზღვაში კონცეტრირებული იყო 40-ზე მეტი საბჭოთა სამხედრო გემი და 16 წყალქვეშა ნავი. მათ შორის სამი ატომური.

30 მაისს ეგვიპტემ და იორდანიამ ხელი მოწერეს თავდაცვით პაქტს, რომლის შემდეგ ნასერმა განაცხადა-„ეგვიპტის, იორდანიის, სირიის, ლიბანის არმიები იმყოფებიან ისრაელის საზღვართან... ჩვენს უკან არის ერაყის, ალჟირის, კუვეიტის, სუდანის არმიები და

მთელი არაბული სამყარო. ეს უნდა იცოდეს მთელმა მსოფლიომ." ერაყის პრეზიდენტმა კი მეტი სიცხადე შეიტანა არაბული სამყაროს ზრახვებში: „ისრაელი ეს არის შეცდომა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს... ჩვენი მიზანი ნათელია აღვგავოთ პირისაგან მიწისა ისრაელი". [5, 125]

ისრაელი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არაბული ქვეყნების ეგვიპტის, სირიის, იორდანიის სამხედრო ძალები მზად იყვნენ შეტევაზე გადასასვლელად. ისრაელის მთავრობა აცნობიერებდა შექმნილ ვითარებას და გადაწყვიტა დაესწრო იერიშის მიტანა,

მას შემდეგ რაც თელ-ავივისათვის ნათელი გახდა, რომ იგი ომის ზღურბლზე იმყოფებოდა ებრაელმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს დიპლომატიური ბრძოლა იმისათვის, რომ მოეპოვებინათ დასავლეთის ლიდერთა მხარდაჭერა და თავის მხარეზე მიემხროთ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ამიტომ ისრაელი დიპლომატიური გზით შეეცადა კრიზისის დაძლევას და საგარეო საქმეთა მინისტრი აბა ებანი დასავლეთის დიდი ქვეყნების მეთაურებთან საგანგებო მისიით გააგზავნა. იგი თავდაპირველად ჩავიდა პარიზში, სადაც შეხვდა პრეზიდენტ შარლ დე გოლს, რომელმაც მოკლედ განუცხადა მინისტრს: „Ne faites la guerre"(არ გააკეთოთ ომი)-ყოველი შემთხვევისათვის არ ისროლოთ პირველებმა. თუ ისრაელი დაიწყებს შეტევას ეს იქნება კატასტროფა". ვერ მოიპოვა რა ებრაელმა დიპლომატმა საფრანგეთის მხარდაჭერა ებანი გაემგზავრა ლონდონში. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ვილსონი თელ-ავივის პოზიციებს შედარებით გაგებით შეხვდა. მან მინისტრს განუცხადა-„თუ აუცილებლობა იქნება ინგლისი შეუერთდება სრუტის გასახსნელად დანარჩენებს". თუმცა აშკარა იყო, რომ ისიც ფრთხილობდა.

ეხლა ისრაელისათვის მთავარი იყო თუ რა პოზიციას დაიჭერდა ვაშინგტონი. აშშ-ში ჩასულ ა. ებანს აეროპორტში დახვდა თავისი ქვეყნის ელჩი აბრაამ ჰარმანი, რომელმაც გადასცა წერილი და თან დააყოლა: „თელ-ავივიდან გადმოგვცეს, რომ თქვენ აშშ-ს ნებისმიერ ოფიციალურ პირთან მოლაპარაკებების დაწყებამდე გაეცნოთ ამ დოკუმენტს" [4, 245]. მინისტრმა გახსნა წერილი. მასში იყო დეპეშის ტექსტი, რომელიც გამოგზავნილი იყო წინა საღამოს. მისი მიხედვით უახლოეს პერიოდში არსებობდა რეალური საშიშროება ისრაელზე ეგვიპტის და სირიის ერთობლივი თავდასხმისა. ამიტომ საგარეო საქმეთა მინისტრს ევალებოდა სასწრაფოდ შეხვედოდა აშშ პრეზიდენტს და მიეღო მისგან ზეპირი განცხადება იმის შესახებ, რომ ისრაელზე თავდასხმა ვაშიგტონის მიერ განიხილებოდა, როგორც აშშ-სა და მის შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმად და ებრძანებინა

ხმელთაშუა ზღვაში მყოფი აშშ-ს შეიარაღებული ძალებისათვის ემოქმედათ ისრაელის ძალებთან ერთად კოორდინირებულად. დეპეშას ხელს აწერდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეშკოლი. ებანი გაოგნდა. მას ამერიკელებისათვის უნდა განეცხადებინა ის, რისიც თავად არ სჯეროდა. ვინაიდან ამ დროისათვის ვაშინგტონი ვიეტნამის ომში იყო ჩაბმული, რომელიც აშშ-ს საზოგადოებრიობის მხრიდან არ სარგებლობდა მხარდაჭერით. ამიტომ მინისტრი შებრუნდა გაერო-ში ისრაელის ელჩ გ. რაფაელიუსაკენ და უთხრა-„ის ადამიანი ვინც ეს დეპეშა შეადგინა გინდ პრემიერი იყოს გინდ არა, არის სულელი...„-ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა: „მაგრამ მე ვალდებული ვარ შევასრულო დავალება...“ .

თეთრ სახლში პრეზიდენტმა ჯონსონმა ებრაელ დიპლომატს განუცხადა-„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ არაბები დაესხმიან თავს ისრაელს-თუ ეს მოხდება თქვენ მოკლევადიან ომში გაანადგურებთ მათ“. ბოლოს დაუმატა: „თქვენ არ ხართ საფრთხის წინაშე... თქვენ უბრალოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებით“. როდესაც ებანი წავიდა პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრ რ. მაკნამარას უთხრა: „მე განვიცადე წარუმატებლობა, ისინი ემზადებიან ომისათვის“. [4, 257]

საგარეო საქმეთა მინისტრმა დიპლომატიური მისიის შედეგები მოახსენა თელ-ავივს და განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ისრაელის სახელმწიფოს.

თელ-ავივში მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ცხარე დისკუსია გაიმართა. ისრაელი გამოუვალ სიტუაციაში იყო. საჭირო იყო მთავრობას უმოკლეს დროში ემოქმედა გონივრულად, ეფექტურად და გაბედულად. ამას უმალვე მიხვდა კაბინეტის ზოგიერთი წევრი. შრომის მინისტრმა ი. ალონმა(რომელიც 1948 წლის ომში მონაწილეობდა) საკითხის განხილვის დროს კაბინეტის წევრებს მიმართა მხოლოდ ორი სიტყვით: „იმოქმედეთ ხვალ“. მას დაეთანხმა მინისტრი ხ. გივატი. იგი ამბობდა: „თუ ჩვენ არ დავარტყამთ პირველი... ნასერი დაგვასრულებს ყველას“. გენერალმა ხ. ვაიცმანმა განაცხადა: „ომი იქნება ძნელი, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს უნდა ვიომოთ. მათ ჩვენ გავანადგურებთ, იმიტომ რომ მათზე უკეთესები ვართ“. სხდომაზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვით პრემიერ-მინისტრი ლ. ეშკოლი რომელიც ცდილობდა ომის დაწყებაში სხვების შეჩერებასა და დამუხრუჭებას თავად გახდა ომის მომხრე. მასზე გავლენა მოახდინა ორმა ფაქტორმა. 1. სამხედროების არაორაზროვანმა დაწოლამ პრემიერზე, რომელნიც მოითხოვდნენ ინიციატივას. 2. ერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუდმივი მობილიზების ქვეშ. ეს გამოიწვევდა ისრაელის ეკონომიკის ნგრევას [5, 215]. სხდომა დამთავრდა დილის ოთხ

საათზე. ჩატარდა ხმის მიცემის პროცედურა. კაბინეტის წევრთაგანცხრა(პრემიერის ჩათვლით) მომხრე იყო ომის, ცხრა წინააღმდეგი.

მომდევნო დღეებში მოვლენები ისრაელის პოლიტიკურ წრეებში დრამატულად მიმდინარეობდა. 1967 წლის 28 მაისს ისრაელის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელიც გაიმართა დილის ათ საათზე, ეშკოლმა პოზიცია შეიცვალა და განაცხადა: „უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას ერთი ან ორი კვირა". როგორც ჩანს პრემიერზე გავლენა მოახდინა აშშ პრეზიდენტ ჯონსონის წერილმა, რომელიც მან დილით მიიღო. სადაც იგი მოითხოვდა-„ისრაელს გამოეჩინა თავშეკავება და არ დაერტყა". ეშკოლი კარგად აცნობიერებდა იმას, რომ ამერიკელთა მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი იქნებოდა კრიტიკულ მომენტებში, კერძოდ საბჭოთა კავშირის ნეიტრალიზაციისათვის. ამიტომ ეშკოლს ვაშინგტონის მოთხოვნები უნდა გაეთვალისწინებინა. ამის პარალელურად ცსს რეზიდენტი ჯ. ხადონი ღამით ეწვია „მოსადის" ხელმძღვანელ მეირ ამიტის. იგი მკაცრი ტონით ესაუბრა მას და მოსთხოვა ძალზე ფრთხილად მოკიდებოდნენ ომის საკითხს. ამიტი სერიოზულად შეშფოთდა. ვინაიდან ხადონის სიტყვები ფაქტიურად ვაშინგტონის პოზიცია იყო და ამის შესახებ მოახსენა ეშკოლს.

საქმეში ჩაერთო მოსკოვიც. საბჭოთა ელჩი ლ. ჩუვიაკოვი ღამის ორ საათზე შეხვდა ისრაელის პრემიერს და გააფრთხილა: „ძალიან ადვილია ხანძრის გაჩაღება, მაგრამ ალი რომ გააქრო არც ისე ადვილი" [4, 95]. ეს შეხვედრა გრძელდებოდა დაახლოებით ორი საათი.

პრემიერ-მინისტრ ეშკოლის პოზიციის გამო ისრაელში ომისწინა პერიოდში დაიწყო სამთავრობო პოლიტიკური კრიზისი. გარკვეულ ძალებს სურდათ გადაეყენებინათ ეშკოლი და პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაებრუნებინათ ბენ-გურიონი, რომელც ამ დროს 81 წლის იყო. საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და მიიღეს კომპრომისული ვარიანტი. ეშკოლმა შეინარჩუნა პოსტი, ხოლო თავდაცვის მინისტრი გახდა 52 წლის მოშე დაიანი.

ისრაელის მთავრობის აზრით, არსებული სიტუაცია მათ ფართო არჩევანის უფლებას აღარ უტოვებდა, ამიტომ ისრაელმა პირველმა გახსნა ცეცხლი. 1967 წლის 5 ივნისს დილით ისრაელის საჰაერო შეიარაღებული ძალები მოულოდნელად თავს დაესხა თავის საზღვარზე განლაგებულ ეგვიპტის არმიას. ისრაელის დაზვერვამ დაადგინა, რომ ყველაზე ხელსაყრელი დრო შეტევისათვის იყო დილის 7 საათი და 45 წუთი (შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობები-ნისლი, ეგვიპტელი მფრინავები ამ დროისათვის მხოლოდ მიემართებიან საუზმიდან ხომალდებისაკენ, ჰაერში არ არის არცერთი ეგვიპტელთა

მორიგე გამანადგურებელი. ისრაელის თვითმფრინავები ძალიან დაბლა ფრენდნენ და შეუმჩნეველი იყვნენ ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა გემებზე განლაგებული რადარებისათვის) ისრაელის საჰაერო ძალებმა 07:45 საათზე გენერალ-მაიორ მორდეხაი ჰოდის ხელმძღვანელობით პირველი დარტყმითი შეტევა წამოიწყო ეგვიპტის საჰაერო ძალების და მისი სივრცის გასანადგურებლად. საბჭოთა კავშირმა ელვისებურად შეაფასა ისრაელის მოქმედება და მას უწოდა „აშკარა აგრესია". შეტევა სამ საათს გაგრძელდა და ისრაელმა თავისი იერიშებით თითქმის მთლიანად გაანადგურა ეგვიპტის საჰაერო ძალები, 340 საბრძოლო თვითმფრინავიდან და ვერტმფრენიდან 309 გაანადგურა, მათ შორის 30 შორეული ბომბდამშენი ტუ-16. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმან, რომ ისრაელის თვითმფრინავებს დაბომბვისა და უკან საწვავის აღებისათვის სჭირდებოდათ 57 წუთი, მაშინ როდესაც ამისათვის ეგვიპტელები კარგავდნენ ორი საათს.

იმავე დღეს სირიის ავიაციამ შეუტია ისრაელის მოდელირებულ აეროდრომებს სადაც ებრაელებს განლაგებული ჰყავდათ შენიღბული თვითმფრინავების მაკეტები. ისრაელის ავიაციამ დღის ბოლოს სირიის 60 თვითმფრინავი გაანადგურა. პარალელურად ისრაელმა დარტყმები განახორციელა იორდანიაზე და დედამინაზე აუფეთქა 40 თვითმფრინავი. ებრაელმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს ეგვიპტელთა 50 საბჭოური წარმოების „миг". ფაქტიურად ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ბრწყინვალე მოქმედებებმა განაპირობეს ომის ბედი. [6, 185]

ექვს დღიანმა ომმა ძირითადად სამი ფრონტი მოიცვა-ეგვიპტის, იორდანიისა და სირიის. მოულოდნელი საჰაერო დაბომბვების შემდეგ ისრაელის ქვეითმა ძალებმა წარმატებული მასშტაბური მრავალმხრივი შეტევები განახორციელეს სინას ნახევარკუნძულზე და ღაზას სექტორზე. ომის განვითარებასთან ერთად გაჩაღდა ეგვიპტური პროპაგანდა, არაბული ქვეყნები მათი ჯარების მიერ მიღწეული გამარჯვებების ისტორიებს ავრცელებდნენ. [1, 237]

სინამდვილეში კი სრულიად საპირისპირო ხდებოდა, 8 ივნისის დილისთვის ისრაელის ტანკებმა დაიკავეს სინას ნახევარკუნძული, მიუახლოვდნენ სუეცის არხს და დაიკავეს ღაზას სექტორი. ისრაელის შეფასებით, ექვსდღიან ომში ეგვიპტის ჯარმა 15000 კაცი დაკარგა. ამასთან ებრაელებმა 5000 ჯარისკაცი და 500 ოფიცერი შეიპყრეს. სინაში 800-მდე ეგვიპტური ტანკი ჩაიგდეს ხელში. მოგვიანებით ნასერმა აღიარა, რომ სინას ბრძოლებში ეგვიპტემ სამხედრო აღჭურვილობის 80% დაკარგა. ისრაელის დანაკარგები კი 300 დაღუპული და 1000 დაჭრილი ჯარისკაცი იყო. [1, 247]

ისრაელმა იორდანიის ფრონტზე დრამატული ბრძოლების შედეგად დიდ წარმატებას მიაღწია და იორდანიის სატანკო ნაწილები მთლიანად გაანადგურა.

1967 წლის 22 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 242 რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ახლო აღმოსავლეთში სამართლიანობის აღდგენას და ხანგრძლივ მშვიდობას. რომელიც უნდა დამყარებულიყო შემდეგ პრინციპებზე: 1. ისრაელის შეიარაღებული ძალების გამოყვანას მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. 2. რეგიონის სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის მიმართ ყველა ტერიტორიული პრეტენზიების შეწყვეტა, ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემა. აღიარებულ იქნას რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მათი ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. არ მიმართონ ერთმანეთის მიმართ ძალის გამოყენებას. [9]. ისრაელმა ეს რეზოლუცია არ შეასრულა და ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დღემდე არ გაუყვანია. უფრო მეტიც, თავის მონაპოვრები თელ-ავივმა იმითაც განამტკიცა, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ქნესეთმა 1972 წლის 16 მარტს მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებდა „ებრაელი ხალხის ისტორიულ უფლებებს ისრაელის ბიბლიურ მიწაზე". [9]

სულ რაღაც ექვსი დღის განმავლობაში ისრაელის ტერიტორია 3-ჯერ გაიზარდა. ისრაელმა სინას ნახევარკუნძული და ღაზას სექტორი წაართვა ეგვიპტეს, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი იორდანიას და გოლანის მაღლობები სირიას. სსრკ-ს მოკავშირე არაბმა ნაციონალისტებმა გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს. ისრაელი სამხედრო თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვან ანგარიშ გასაწევ ძალად გადაიქცა. „ექვსდღიან ომში გამარჯვება სამართლიანადაა მიჩნეული ებრაელი ხალხის ისტორიაში უდიდეს წარმატებად". [2, 449]

ისმის კითხვა-რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ომში ისრაელის ელვისებურ გამარჯვებას?

უპირველესად მთავრობის მიერ სწორად გათვლილმა ჭკვიანურმა სტრატეგიამ, საშუალება მისცა ისრაელს დაემარცხებინა მასზე უფრო ძლიერი მტერი.

არაბული ჯარების ასეთი მარცხი რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას: ეგვიპტის ავიაციის მოულოდნელი განადგურება, რომელიც ყოველგვარი თავდაცვითი სისტემების გარეშე ღია უდაბნოში ბაზირებდა. არაბების მიერ ისრაელის ჯარების შესაძლებლობისა და მათი მოქმედების ხასიათის არასწორი შეფასება. მიუხედავად იმისა რომ ეგვიპტისა და სირიის შეიარაღებული ძალები ფლობდნენ პირ-

ველხარისხოვან საბჭოთა სამხედრო ტექნიკას [7, 317] ისინი სრულიად უსუსურნი აღმოჩნდნენ ისრაელთან ომში. არაბულ არმიებზე დიდი გავლენა იქონა სამხედრო ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების დაბალმა დონემ. რომელიც განპირობებული იყო უმთავრესად პირადი შემადგენლობის განათლების უაღრესად დაბალი დონით. მათ ვერ შეძლეს თანამედროვე ტექნიკის ათვისება და მართვა.

ეგვიპტის არმიის ოფიცერთა ძირითად მასას შეადგენდა ნასერის ნაციონალიზაციის პოლიტიკით უკმაყოფილონი.

უდიდესი როლი შეასრულა „მოსადმა„-მ. დაიანი მოგვიანებით წერდა: „ისრაელის დაზვერვას ავიაციასა და სატანკო არმიაზე ნაკლები როლი არ უთამაშია გამარჯვებაში". რაც მათ მიერ გამოიხატებოდა არაბული ქვეყნების არმიების ელექტრონული კომუნიკაციების მოშლასა და მათ დეზორგანიზაციაში.

არაბთა არმიების სუსტი ბრძოლისუნარიანობა კარგად იყო ცნობილი ისრაელის დაზვერვისათვის, რამაც გაუადვილა ისრაელის ხელმძღვანელობას ბრძოლის გადაწყვეტილების მიღება.

ტიპიური არაბული ბრძოლის მანერიდან გამოირკვა, რომ ცალკეული არაბული ფორმირებები უარს აცხადებდენ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში აგრესიულ ქმედებებზე.

დიდი როლი შეასრულა ისრაელის უბადლო და იუველური სიზუსტით გათვლილმა დიპლომატიამ, რომელმაც ფაქტიურად თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა საბჭოთა კავშირი და სხვა ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები.

მსოფლიო ებრაული პროპაგანდა და ფინანსები აღმოჩნდა უფრო მეტად ეფექტური ვიდრე არაბული სამყარო. მთელი მსოფლიო გააოცა ებრაელთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოჩენილმა სოლიდარობამ და თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმართ უდიდესმა პატრიოტიზმმა. ისინი მთელი ომის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში საელჩოებთან უწყვეტ რიგებად იდგნენ და ითხოვდნენ ფრონტზე მოხალისეებად წასვლას.

ისრაელმა ამერიკისაგან 1.6 მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარებაც მიიღო. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მის მიერ გამოყოფილ 3.45 მილიარდი მარკის დახმარებას მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გენოციდის მსხვერპლთათვის გამოყოფილი კომპენსაცია დაარქვა. ისრაელს ფინანსურ დახმარებას სხვა ქვეყნებიც უწევდნენ. თავად ისრაელი სამხედრო ოპერაციებში ქვეყნის ბიუჯეტის 40-46%-ს ხარჯავდა. ქვეყნის ყველა უფროსი ასაკის მოსახლეობა, მათ შორის ქალებიც, გაწვეულნი იყვნენ სამხედრო სამსა-

ხურში, ხოლო 14-16 წლის მოზარდები საბრძოლო მომზადებას გადიოდნენ სპეციალიზირებულ რაზმში "პადნა". [8]

საბრძოლო ოპერაციების დროს ისრაელის ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა გაეროს უშიშროების საბჭოს 6, 7 და 9 ივნისის რეზოლუციებს, რომელიც საბრძოლო ოპერაციების დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდა. ისრაელმა სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად შეძლო დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიმხრობა. უფრო სწორად თელ-ავივმა მოხერხებულად შეძლო აშშ-სა და სსრკ-ს შორის არსებული წინააღმდეგობის სათავისოდ გამოყენება.

აღსანიშნავია ასევე სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანა ისრაელის გამარჯვებაში, ის იყო ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ ეფექტურად დაგეგმილი სამხედრო მოქმედებები, ომში ებრაელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მიერ გამოჩენილი უმაგალითო სიმამაცე. ებრაელი ოფიცრები, ჯარისკაცებზე წინ იბრძოდნენ, რაც ადუღაბებდა მათ საბრძოლო მეგობრობას და ამაღლებდა არმიის მებრძოლ სულს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ არაბთა მხრიდან ადგილი ჰქონდა არასწორ კოორდინაციას და ხელმძღვანელობას. არაბულმა სამყარომ ომის დაგეგმვისას არასათანადოდ შეაფასა ისრაელის შესაძლებლობები.

ისრაელის მიერ განხორციელებულ ქმედებებს ექვსდღიან ომში და მის შედეგებს ადასტურებს ის, რომ სახელმწიფოებისათვის მუდმივი საზრუნავი ეროვნული ინტერესია, ამ შემთხვევაში ისრაელისათვის ეს იყო თვითგადარჩენა და სუვერენიტეტის შენარჩუნება. ექვსდღიან ომში გამარჯვებით ისრაელი გახდა რეგიონში ჰეგემონი სამხედრო ძალა, რამაც გამოიწვია მისი უსაფრთხოების ზრდა. ომის შედეგად ისრაელის ტერიტორია სამჯერ გაიზარდა. მისი ფარდობითი მოგება არაბული ქვეყნების მიმართ საგრძნობლად გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო როგორც ისრაელის ტერიტორიების გაფართოებით ისე იმ სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური დანაკარგების და მოგების განსხვავებით რაც ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის იყო. ომის შედეგად ახლო აღმოსავლეთში ისრაელი ჩამოყალიბდა, როგორც ძლიერი სამხედრო ძალა და რეგიონული ჰეგემონი.

1967 წლის ისრაელ-არაბების ომი იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მარცხი რეგიონში. ამ კონფლიქტმა უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა მოახდინა კრემლის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოები მუდმივად ანარქიის პირობებში არსებობენ და არ არსებობს ზესა-

ხელმწიფოებრივი უზენაესი ორგანო, რომელიც მათ უსაფრთხოებას და სუვერენიტეტს დაიცავს. ასეთ ვითარებაში ისრაელმა მთელ მსოფლიოს უჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს პატარა სახელმწიფომ წარმატებას იმ ურთულეს პირობებშიც კი თუ ის მოქცეულია მტრულ სახელმწიფოთა გარემოცვაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ხ. ჰერცოგი, ისრაელ-არაბეთის ომები, თბილისი, 2007.
2. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008.
3. ე. გვენეტაძე, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2010 № 2(8).
4. Benny Morris, Righteous Victims-Vintage books, 2001.
5. Черчилль Р.С. и У., Шестидневная война, Иерусалим, "Библиотека-Алия", 1989.
6. Тененбаум Б., Знаменитая арабо-израильская война 1967 года, Иерусалим, "Библиотека-Алия", 2005.
7. Хигер Л., Шестидневная война, К истории одного мифа. Иерусалим, "Библиотека-Алия", 2002.
8. http://www.open.ge/index.php?m=94&y=2002&art=12812.
9. http://www.open.ge/index.php?m=94&y=2002&art=12812.

Epifan (Edisher) Gvenetadze

Professor of the Georgia Technical University

Maia Kipiani

Professor of the Georgia Technical University

The Factor of Israel's Victory in Israel-Arabia Six Day War in 1967

Summary

The paper discusses the 1967 Israel - Israeli Arabs in the war, winning factors. Notes that Israel's victory in the war caused the Tel - Aviv and the Israeli army's remarkable diplomacy training. As well as the world's support.

Israel's lightning victory in the war, the reasons were. The energetic and forward-lookingpolicy. Patriotism in its historic homeland of the Jewish peo-

ple. Jewish soldiers and officers of courage. The entire Jewish world, the world's solidarity.

From here you can make a conclusion that states the conditions of anarchy, there is alwayssomething of an authority that they defend the sovereignty and security. N such circumstances, Israel showed the world how to defend its sovereignty over a smallcountry surrounded by hostile states.